




სამოგზაურო დაზღვევა

Travel Insurance

2020



სამედიცინო დაფარვები და ლიმიტები / Medical Covers and Limits **

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit USD/EURO	Service
სამედიცინო ასისტანსი 24/7	ულიმიტო/unlimited	Medical Assistance 24/7
მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში*	10 000	INTENSIVE CARE*
გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობა **	20 000	IN-PATIENT TREATMENT**
სამედიცინო ევაკუაცია /რეპატრიაცია	5 000	MEDICAL EVACUATION/ REPATRIATION
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	500	EMERGENCY MEDICAL CARE
გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა	2 000	OUT-PATIENT CARE
გადაუდებელი სტომატოლოგიური მკურნალობა	500	EMERGENCY DENTAL TREATMENT
გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება	1000	URGENT OPHTHALMOLOGIC CARE
სულ	50 000	TOTAL

*მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში ფინანსდება მაქსიმალური ქვე ლიმიტით 800 ევრო/დოლარი ერთი საწოლდღე / Medical service of intensive care will be covered under the sublimit of 800 USD/EURO per bed-day

**გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობა ფინანსდება მაქსიმალური ქვე ლიმიტით 600 ევრო/დოლარი ერთი საწოლდღე, ამავდროულად, ასანაზღაურებელი დღეების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს პოლისის მოქმედების ბოლო დღისა.

/ Medical service of in-patient care will be covered under the sublimit of 600 USD/EURO per bed-day, At the same time, the maximum number of days payable is no more than the last day of the Insurance Period.

*** ანაზღაურებისას მხედველობაში მიიღება იმ ვალუტის ექვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც არის მოგზაურობის ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული.

At the time of reimbursement, shall be taken into account the equivalent of the currency in the national currency, which is widespread in the country of travel,

ავია დაზღვევა / Avia Insurance****

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit/EURO	Service
მგზავრის დამატებითი ხარჯების ანაზღაურება	142	Passengers extra expenses' insurance
ბარგის დაზღვევა	568	Baggage Insurance
უბედური შემთხვევის დაზღვევა	7100	Accident Insurance

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit/EURO	Service
მოგზაურობის გაუქმების დაზღვევა	250	Trip Cancellation Insurance

**** ავია დაზღვევის დაფარვები ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოლისში მონიშნულია ავია დაზღვევის შესაბამისი ველები / avia insurance covers are in force if in the policy special sections of avia insurance are marked.

საზღვარგარეთ მოგზაურთა საყურადღებოდ!

ძვირფასო მომხმარებელო,
უნისონი გისურვებთ მშვიდობიან მგზავრობას და
საინტერესო თავგადასავალს. გთხოვთ, ყურადღებით
გაეცნოთ პოლისის პირობებს და გაითვალისწინოთ
მნიშვნელოვანი პუნქტები.

პოლისის პირობებზე ელექტრონული წესით
თანხმობით ან/და პოლისის შექმნისას მზღვეველის
მიერ ავტორიზებული პირისთვის ინფორმაციის
გადაცემით და პრემიის გადახდით, თქვენ
თანხმობას აცხადებთ ამ დოკუმენტში მოცემულ
პირობებზე. ამასთან, უფლებას აძლევთ სს
„სადაზღვევო კომპანია უნისონს“ გამოიყენოს თქვენი
პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია დაზღვევის ან
მასთან დაკავშირებული მარკეტინგული მიზნით.

ნებისმიერი შეკითხვისა და სადაზღვევო
შემთხვევისას, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **+995
322 991 991** ან მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე
hotline@unison.ge

საზღვარგარეთ გადაუდებელი სამედიცინო
დახმარების საჭიროების შემთხვევაში,
დაუკავშირდით საერთაშორისო ასისტანსს (**Europe
Assistance CIS**): **+7 495 787 21 78**

პოლისის პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს
წინამდებარე პირობების შესაბამისად მხოლოდ
გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების
საჭიროების შემთხვევაში.

ავადმყოფის ევაკუაცია (თუ ნებადართულია ექიმის
მიერ) ან გვამის რეპატრაცია - ითვალისწინებს,
სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში,
პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას,
უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის
ტრანსპორტირების ან გვამის რეპატრაციის
ხარჯების ანაზღაურებას.

For those traveling abroad!

Dear Customer,
Unison wishes you a peaceful journey and an exciting adventure.
Please, read carefully the policy terms and take into account
important points.

You, the policyholder, agree upon the policy terms presented in
this document by electronic means while buying the policy online
or/and while presenting your personal and travel data to the
insurer's authorized person and paying the policy premium. You
also grant the Insurer (JSC Insurance Company Unison) with the
permission to use your personal and contact data for insurance
service provision or for other, related marketing activities.

For any question and insurance case, please call us on the hotline:
+995 322 991 991 or send us **e-mail at hotline@unison.ge**

In case of urgent medical service, insured shall immediately notice
International Assistance (**Europe Assistance CIS**) at: **+7 495 787 21
78**

Policy conditions are as the followings:

- a) Insurer pays insurance indemnification in accordance
with the present terms only for urgent medical treatment.
Patient evacuation (if permitted by the doctor) or corpse
repatriation- includes reimbursement of transportation or
corpse repatriation expenses caused by an accident, until the
last day of the insurance policy, within the territory defined
by this Policy.
- b) To get medical service, insured shall visit medical clinic
according to Europe-Assistance guidance and pay medical
service fee within the limit of franchise (70 Euro/USD). If
the diagnosis is under the coverage of the policy, insurer
will pay the rest of the service.

ბ) დაზღვეული სამედიცინო მომსახურების მისაღებად მიაკითხავს ევროპა ასისტანსის მიერ მითითებულ კლინიკას და გადაიხდის სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ფრანშიზის ფარგლებში (70 EURO/USD). თუ სამედიცინო ჩვენება აკმაყოფილებს პოლისით განსაზღვრულ პირობებს, სამედიცინო მომსახურების დარჩენილ ღირებულებას დაფარავს მზღვეველი, პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

გ) დაზღვეულის მიერ სამედიცინო მომსახურების ხარჯების დამოუკიდებლად დაფარვის შემთხვევაში (თუ შეტყობინება მიღებულია მზღვეველის მიერ) სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ დამოწმებული ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს პოლისის მოქმედების ვადის გასვლიდან/ საქართველოში დაბრუნებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში; ამ ორი ვადიდან უახლოესის დადგომისას. განაცხადის განხილვის ვადა შეადგენს 10 სამუშაო დღეს. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვადის გაშვების შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისაგან

დ) მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურებისგან, თუ ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ მიიღებს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის შემდეგ.

ე) პოლისით გათვალისწინებულია უპირობო ფრანშიზა 70 USD/EURO-ს ოდენობით, გარდა ავია დაზღვევის დაფარვების შემთხვევისა.

ვ) იმ პირთათვის რომელთა ასაკიც დაზღვევის პერიოდის დასრულების მომენტში მეტია 60 წელზე, სამოგზაურო დაზღვევის პირობები იჯარება 50%-ით.

ზ) „ავია დაზღვევის“ დაფარვები ვრელდება პოლისში მითითებულ კონკრეტულ ფრენებზე, ან თუ ასეთი არ არის მითითებული, მოგზაურობის პირველ და ბოლო (თუ ორი გზის დაფარვაა მონიშნული) ფრენაზე.

სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად განაცხადთან ერთად დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს:

- c) In case Insured pays medical costs on his own (if notice has been received duly by Insurer), the insurance indemnification shall be paid based on the basis of financial documents certified by the relevant healthcare provider which the Insured shall present within 15 days after returning in Georgia or within 15 days after the expiration of the policy, whichever from these two comes first. In case of expiry of the term provided for by this Article, the insurer shall be exempt from issuing insurance reimbursement.
- d) Insurer is not liable to issue insurance indemnification, in case of receiving information about an event 24 hours after the event.
- e) The policy considers deductible (franchise) amount of 70 USD/EURO despite of “Avia Insurance” covers.
- f) For the persons who are more than 60-years old upon expiration of the insurance period the traveling insurance terms shall be covered by 50%.
- g) Covers of “Avia Insurance” covers flights indicated in the policy, or if such indication does not exists, insurance covers first flight and last flight (if two way cover is checked) of an insured trip .

1. სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
2. სამედიცინო სერთიფიკატების ორიგინალები, სადაც მითითებული იქნება დაზღვეულის გვარი, სახელი, დიაგნოზი (ICD-10 კოდებით); გაწეული სამედიცინო დახმარება, მკურნალობა;
3. უბედური შემთხვევისას – ოფიციალური ცნობა;
4. ექიმების და სამედიცინო დაწესებულების ანგარიშების ორიგინალები ან დუბლიკატები;
5. მზღვეველის მოთხოვნისას დაზღვეული ვალდებულია წარადგინოს საკუთარი პასპორტი, სადაც აღნიშნული იქნება საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის თარიღი;
6. ცხედრის რეპატრიაციის შემთხვევაში მზღვეველს უნდა მიეწოდოს ცნობა გარდაცვალების შესახებ, ექიმის დასკვნა გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის შესახებ და ანგარიშების ორიგინალები ან დუბლიკატები.
7. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს აქვს უფლება დამატებით მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები, რომლებიც დაზღვეულმა/სხვა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის ვადაში.
8. მზღვეველს განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იმ პირობით, რომ პოლისში მითითებულ ვადებში მოხდება ორიგინალი დოკუმენტაციის მოწოდება დაზღვეულის მხრიდან.

დავების გადაჭრა

1. წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ნებისმიერი დავა მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები ირჩევენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას - არბიტრაჟს.

Along with the claim, the insured must present:

1. Original insurance policy
2. Original of Medical Certificate, in which the name and surname of Insured, diagnoses, (ICD - within 10 codes) provided medical services and treatment are indicated;
3. Official document evidencing the accident;
4. Original or copy of bills of doctors and medical institutions,
5. Upon request of the Insurer, the Insured shall submit his/her passport, in which the dates of crossing the border of will be specified;
6. In case of repatriation, the Insurer must be provided with a notice on death, doctor's report on death causes and original or copy of relevant bills.
7. In some cases, if the insurer considers it necessary, it may ask the insured for any additional documents for further clarification that the insured or other authorized person must present within 14 days.
8. Insurer can provide disbursement for special cases based on the above mentioned documents that are presented in electronic forms. If this case occurs, insured is obliged to present original documents according to dates indicated by this policy.

Dispute resolution

1. Any dispute between the Parties shall be resolved under the applicable Georgian laws, through negotiation and agreement, In the event of disagreement, the Parties shall choose an alternative means of dispute resolution – Arbitration.

1.1. The Parties express the will and consent to submit any dispute arising out of this Agreement and / or any other related Agreement, including out of the Accessory Agreement or Contract, to the Black

1.1. მხარეები გამოხატავენ ნებასა და თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა, მათ შორის, აქსესორული ხელშეკრულებიდან თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცეს შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატას (სარეგისტრაციო ნომერი: 212917067).

1.2. მხარეები სრულად იწონებენ არბიტრაჟის მიერ დამტკიცებულ საარბიტრაჟო წარმოების წესებს (დებულებას/რეგლამენტს), მათ შორის, ნებისმიერი შეტყობინების/ინფორმაციის/გზავნილის ჩაბარების წესებს და გამოთქვამენ მზადყოფნას დავის არსებობის პირობებში განხილვა წარიმართოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საარბიტრაჟო წარმოების წესებისა და პროცედურის გათვალისწინებითა და დაცვით.

1.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული დებულებები/წესები ეწინააღმდეგება არბიტრაჟის დებულებას/რეგლამენტს ან წესებს გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები/წესები.

1.4. მხარეები აცნობიერებენ, რომ არბიტრაჟში დავა განიხილება ერთპიროვნულად, ერთი არბიტრის მიერ, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟი: დირექტორი ან თავმჯდომარე.

1.5. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო დავის განხილვა, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტს მხოლოდ მისთვის წარდგენილი საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე. ამ წესიდან გადახვევა შესაძლებელი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე წარუდგენს არბიტრაჟს წერილობით შეთანხმებას, რომ საარბიტრაჟო დავის განხილვა განხორციელდეს ზეპირი მოსმენით, არბიტრაჟის მიერ განხილვის ამ ფორმისათვის დადგენილი პროცედურის/წესების ფარგლებში;

1.6. მხარეები ითვალისწინებენ, რომ არბიტრაჟში საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ

Sea International Arbitration Chamber (registration number 212917067).

1.2. The Parties fully consent (approve) the Arbitration Rules (Statutes / Regulations) approved by the Arbitration, including any rules for the submission of any notice/information/documentation, and express their readiness to consider the dispute in the light of this Agreement and in accordance with the rules and procedure of the arbitration proceedings.

1.3. If the provisions / rules of this Agreement are contrary to the arbitration statute/regulation or the rules, the provisions /rules of this Agreement shall apply.

1.4. The Parties acknowledge that Arbitration shall consider the disputes individually by one Arbitrator designated by the Arbitration: the Director or the Chairman.

1.5. The Parties agree that the arbitration dispute, if the value of the dispute does not exceed 20,000 GEL, should be conducted without an oral hearing, meaning that the Arbitration shall consider and resolve the dispute only on the basis of the documents and evidence submitted to it. Derogation from this rule is possible only if both parties submit to the Arbitration a written agreement that the arbitration dispute be settled by oral hearing within the procedure /rules established by arbitration for this form of hearing;

1.6. The parties provide that prior Arbitration hearing within the Arbitration proceedings framework or at any stage of the proceedings before the final Arbitration award is made, it is possible to apply an Arbitration for securing an arbitration claim. A Party may file an a petition to the Arbitration regarding the application of Arbitration claim secure measures.

სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაძლებელია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

რა ივარება ამ პოლისით:

- წინამდებარე პირობები და შესაბამისი პოლისი ითვალისწინებს გადაუდებელი შემთხვევების სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას პირის მხოლოდ სამოგზაურო (ტურისტული) მიზნით მოგზაურობისას, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის პოლისში.

ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას – მდგომარეობის სტაბილიზებასა და რეპატრაციას. მაქსიმალური ლიმიტით 20 000 დოლარი/ევრო და ქვე ლიმიტით არაუმეტეს 600 აშშ/ევრო ერთ საწოლ დღეზე. (ფრანშიზის გათვალისწინებით);

ბ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 2 000 აშშ დოლარი/ევრო/ევრო. (ფრანშიზის გათვალისწინებით);

გ) გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება (ექსტრაქცია, გაუტივარება) - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში დაზღვეულის გადაუდებელი სტომატოლოგიური

What policy covers:

- These conditions and applicable policies provide for reimbursement of medical expenses for emergencies when traveling solely for the purpose of travel (tourism), unless otherwise stated in the policy.

- a) **Urgent hospital care** – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent stationary treatment costs incurred by the Insured at a licensed medical institution while staying in the country specified in the policy– stabilization of the condition and repatriation to Georgia. The service will be covered under the maximum limit of 20 000 USD/EURO, but not more than 600 USD/EURO per bed-day. (including deductible).
- b) **Urgent outpatient care** – implies within the period of the insurance Policy, indemnify of urgent ambulatory treatment costs incurred by the insured at a licensed medical institution while staying in the country specified in the policy with the maximum limit in the amount of 2000 USD/EURO (including deductible).
- c) **Urgent dental care (extraction, anesthesia)** – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent dental service (extraction, anesthesia of teeth) treatment costs incurred by the insured at a licensed dental clinic while staying in the country specified in the policy with the maximum limit in the amount of 1000 USD/EURO (including deductible).

მომსახურების (კბილის ექსტრაქცია, გაუტკივარება) ხარჯების დაფინანსებას, მაქსიმალური ლიმიტი 500 აშშ დოლარი/ევრო; (ფრანშიზის გათვალისწინებით);

დ) გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება

- ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის სხეულის დაზიანებით მიღებული თვალის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, მაქსიმალური ლიმიტი 1 000 აშშ დოლარი/ევრო; (ფრანშიზის გათვალისწინებით);

ე) ავადმყოფის ევაკუაცია (თუ ნებადართულია ექიმის მიერ) ან გვამის რეპატრიაცია

- ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის ევაკუაციას ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი გვამის რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 5 000 აშშ დოლარი/ევრო (ფრანშიზის გათვალისწინებით). მზღვეველი ასევე ანაზღაურებს თავმდგომი პირის ან მეგობრის მოგზაურობის ხარჯებს, იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული პირი კვალიფიციური ექიმის მოწმობით საჭიროებს თანმხლებს ან თუ ეს გამოწვეულია დაზღვეულის რეპატრიაციით.

ვ) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება

გულისხმობს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას, იმ შემთხვევებზე რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ჯანმრთელობის შემდგომი მწვავე გაუარესება ან ლეტალური შედეგი, თუ არ მოხდა დაუყოვნებელი სამედიცინო ჩარევა. მაქსიმალური ლიმიტი 500 აშშ დოლარი/ევრო; (ფრანშიზის გათვალისწინებით);

ზ) უბედური შემთხვევა

- გულისხმობს გარემო პირობების (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) უეცარი ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებას/გარდაცვალებას.

d) **Urgent ophthalmologic care** – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent treatment costs incurred by bodily harm by the Insured at a licensed medical institution while staying in the country specified in the policy with the maximum limit in the amount of 1000 USD/EURO (including deductible).

e) **Patient or corpse (if authorized by doctor) repatriation** – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of the costs incurred by the Insured while staying in the country specified in the policy in case of death, the costs of repatriation of a corpse with the maximum limit in the amount of 5 000 USD/EURO. The Insurer also will reimburse traveling costs of a friend or a person looking after the sick, in case the Insured actually needs a person to be looked after confirmed by a qualified doctor or in case such is caused by repatriation of Insured.

f) **Emergency medical help** envisages urgent medical service on those situation, that poses an immediate risk to health or may end with fatal result. **Maximum limit in the amount of 5 000 USD/EUR.(including deductible).**

g) **Accident** – considers health damage that is caused by external force (physical, chemical, thermal, mechanical) and requires urgent medical help.

ავია დაზღვევის დაფარვები

ავია დაზღვევის პირობები დეტალურად, გთხოვთ, იხილოთ ბმულზე

https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

1) ბარგის დაკარგვა/დაგვიანება/განადგურება - დაზღვეულის, მისი ახლო ნათესავების ან მეუღლის ახლო ნათესავების ან მასთან ერთად მოგზაური სხვა დაზღვეული პირის პირადი ნივთები, რომლებიც დარეგისტრირდა და ჩაბარდა გადამზიდველს ბარგის სახით. ხელბარგი ბარგად არ მიიჩნევა. ანაზღაურდება მაქსიმალური ლიმიტით 568 ევრო.

2) მგზავრთა დამატებითი ხარჯების ანაზღაურება - ანაზღაურდება ფრენის შეფერხების ან გადადებისას 14 ევროს ანაზღაურება ყოველ მეოთხე და მომდევნო საათზე, სასტუმროს ხარჯი (71 ევრო) , სასტუმრობდე ტრანსპორტირების ხარჯი (28 ევრო) , კვების ხარჯი (21 ევრო) - ჯამური ლიმიტით 142 ევრო.

3) უბედური შემთხვევისგან დაზღვევა - იფარება ფრენისას და აეროპორტის ტერიტორიაზე ყოფნისას უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმა, ინვალიდობა და სიცოცხლე 7100 ევროს ლიმიტის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ცხრილის შესაბამისად.

4) მოგზაურობის გაუქმება - სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში მზღვეველი უზრუნველყოფს: დაზღვეულის თვითმფრინავით მგზავრობის გაუქმების შემთხვევაში წინასწარ შეძენილი ავიაბილეთების ღირებულების ანაზღაურებას პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში. ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება სხვაობით შეძენილი ავიაბილეთების სრულ ღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომელსაც დაზღვეულს დაუბრუნებს ავიაკომპანიას ბილეთის ჩაბარების (დაბრუნების) შედეგად. იმ შემთხვევაში თუ

Avia Insurance Covers

To check detailed terms of avia insurance, please, follow the link https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

- 1) **Luggage Loss/Delay/Destruction** – Luggage of insured or his/her close relatives, husband/wife close relatives or travel companion that was checked in to airliner. Cabin language is not considered as insurance object. Insurance limit for this cover is 568 Euro.
- 2) **Passengers extra expenses' insurance** - in case of flight delay will be reimbursed 14 Euros for 4th and for each following hours, hotel expenses (71 Euros), transportation to hotel (28 Euros), food expenses (21 Euros) – total limit 142 Euros.
- 3) **Accident insurance** - covers injuries, disability or death caused by an accident that occurred during insured flight or at the airport under the limit of 7100 euro.
- 4) **Trip Cancellation** – within the scope of the insurance policy, the insurer shall provide the following: pay the price for the airplane ticket purchased in advance within the limit set forth in the policy, in case of cancellation of the insured air trip. The reimbursement limit shall be calculated by difference between the full price of the purchased air ticket and the sum which the airlines pay back to the insured upon the return of the ticket. If the trip is cancelled when the airlines no more receive the purchased tickets (do not pay back any amount) the reimbursement limit will be calculated by the full price of the purchased ticket. Furthermore, the insurer will not pay for the insurance indemnity if the scheduled trip has been postponed, but the flight has been extended to another/new date and the airlines agrees with that.

მოგზაურობა უქმდება იმ დროს, როდესაც ავიაკომპანია აღარ იბრუნებს ბილეთებს (არ აბრუნებს არავითარ თანხას) ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება შეძენილი ბილეთის სრული ღირებულების ოდენობით. ამასთან მზღვეველი არ გასცემს სადაზღვეო ანაზღაურებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაგეგმილი მგზავრობა, მართალია გადაიდო, მაგრამ მგზავრობა გადატანილია სხვა/ახალ თარიღზე, რომელზეც ავიაკომპანია თანხმობას აცხადებს.

მზღვეველი ასევე ანაზღაურებს ფრენის გადადების შემთხვევაში ზარალს, ფიქსირებული ლიმიტის ფარგლებში.

მოგზაურობის გაუქმების დაზღვევის დაფარვა აქტიურდება შემდეგი რისკებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს დადგომისას:

1. კოსპიტალიზაცია
2. ინფექციური დაავადება
3. ტრავმა
4. ვაქცინაცია
5. გარდაცვალება
6. უარი ვიზაზე
7. ქონების დაზიანება
8. სამსახურიდან დათხოვნა
9. დოკუმენტები ქურდობა
10. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავარია
11. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა
12. საგანგებო მდგომარეობა
13. სტიქიური უბედურება
14. საგამომიებო ქმედებები
15. «ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისთვის ხელის შეწყობა»
16. სასამართლოს დადგენილება
17. სამხედრო სამსახურში გამოძახება

მოგზაურობის გაუქმების დაზღვევის ჯამური ლიმიტია 250 ევრო.

სრულად პირობები, გთხოვთ იხილოთ ბმულზე https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

Trip Cancellation insurance covers goes in force when one of the following risks occurs:

1. Hospitalization
2. Infection diseases
3. Trauma
4. vaccinating
5. Death
6. Visa Rejection
7. Property damage
8. Losing job
9. Robbery of travel documents
10. Public transport break down
11. Road accident
12. Emergency situation
13. Natural disasters
14. Investigation
15. Supporting government representatives
16. Judge decision
17. Call of army duty

Total limit of trip cancellation insurance is 250 Euros.

Please, see more detailed terms and conditions of this cover at the link https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

გამონაკლისები:

ამ დაზღვევით არ იფარება/არ ანაზღაურდება შემთხვევები რომელიც გამოწვეულია:

- ა) დაზღვეულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, თვითდაშავებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობისას მიღებული დაზიანებებით;
- ბ) დაზღვეულის მიერ არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდებით(გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას);
- გ) სამოქალაქო ან სხვა სახელმწიფოსთან ომით, აჯანყებით, დემონსტრაციებით, ტერორისტული აქტებით ან საბოტაჟით, არეულობით ან მღელვარებით;
- დ) დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის ქრონიკული დაავადებით ან მისი გამწვავებით;
- ე) დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის ორსულობით, მშობიარობით ან მათი გართულებით;
- ვ) დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედები, აგრეთვე კვალიფიციური/კომპეტენტური ექიმის დაუნიშნავად მიღებული წამლების მომწამლავი ეფექტით;
- ზ) ანაზღაურება არ გაიცემა, ასევე იმ შემთხვევაშიც თუ მზღვევისათვის არ არის გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად.
- თ) წინამდებარე პირობები და შესაბამისი პოლისი არ ითვალისწინებს - დაზღვევამდე არსებული დაავადებების მიზეზით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების (მათ შორის რეპატრაციის) ხარჯების ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა აღნიშნული მიზეზ(ებ)ი იყო თუ არა ცნობილი დაზღვევისათვის პოლისის შექმნის მომენტისათვის.

Exclusions:

This insurance shall not cover the events provoked by:

- a) Unlawful actions, international self-damage, suicide, or damages received through such attempts by the insured;
- b) Willful exposure to danger (except in an attempt to save human life);
- c) Civil war or the war with any other state, strike, demonstration, acts of terrorism or sabotage, civil commotion or insurrection;
- d) Chronic diseases of the insured or his/her family member or complication of disease thereof;
- e) Pregnancy, delivery or complication thereof of the insured or his/her family member;
- f) Effect of use of alcohol, narcotic, psychotropic or/and any other toxic substances effect taken without prescription of the competent physician;
- g) No indemnity will be paid if the insurance premium is not fully paid to the insurer.
- h) **These Terms and Conditions do not apply to reimbursement of medical expenses (including repatriation) for reasons of pre-existing health insurance, regardless of whether the reason (s) were known to the insured at the time of purchase of the policy.**

სტანდარტული გამონაკლისები

ა) მზღვეველი არ არის ვალდებული გადაიხადოს ანაზღაურება რაიმე დანაკარგზე, დაზიანებაზე, ხარჯზე ან დანახარჯზე, მიუხედავად მისი ბუნებისა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია, ან შედეგად მოჰყვა ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილს:

1. ომს, საომარ მოქმედებას, უცხო ქვეყნის ჯარის შეჭრას (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომს, ამბოხებას, სამოქალაქო უწყრილობას, რევოლუციას, სამხედრო გადატრიალებას ან ხელისუფლების უზურპაციას; ან
2. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს.

ბ) ამასთან პირი, რომელმაც ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა, ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ასევე არ იფარება შემდეგი მომსახურება, მდგომარეობა და ხარჯები:

1. ქრონიკული დაავადებები და მათი გამწვავებები ან მოგზაურობამდე გამოვლენილი დაავადებები და მათი გართულებები, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა საჭირო; ვაქცინაციის ხარჯები; მოგზაურობა რომელიც გამიზნულია სამედიცინო მკურნალობის ან კონსულტაციის მისაღებად;
2. ყოველგვარი ხარჯები, გაწეული გადაუდებელ სამედიცინო ევაკუაციაზე, რომელიც წინასწარ იქნა დამოწმებული პოლისში მითითებული დახმარების გამწევი ცენტრის მიერ;
3. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა.

Standard Exemptions:

a) **The Insurance Company is not liable to pay compensation for any loss, damage, expense or cost irrespective of its nature not directly or indirectly caused or related to or is consequent of any of the following:**

1. War, armed activities, foreign forces occupation (despite the official declaration of war), civil war, riot, civil disorder, revolution, military overthrow or usurpation; or
2. Any terrorism act.

b) **However, the person who has insured the same interest with several insurers at the same time shall immediately notify each insurer thereof. The notification shall state the identity of all insurers and the amount of insurance, in case of double insurance the parties shall act in accordance with the legislation of Georgia;**

Insurance does not cover the following services, situations and expenses:

1. Chronic diseases and their aggravations or the diseases discovered before the trip except for the cases when emergency care is needed for saving the life of insured; vaccination expenses; trip for medical treatment or consultations;
2. Any expense for emergency medical evacuation pre-confirmed by the center providing care as indicated in the policy;
3. Oncologic disease treatment.
4. Any expense related to mental, physic or psychological disorders;

<p>4. გონებრივ, ფსიქიურ, ან ფსიქოსტომატურ დარღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯები;</p> <p>5. ორსულობა, მშობიარობა და მათი შედეგები და გართულებები. ორსულობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩვილების მკურნალობა, ორსულობის გამო ქრონიკული დაავადებების მსვლელობის ცვლილებების ჩათვლით; მორიგი გამოკვლევები ორსულობის პერიოდში; ხელოვნური განაყოფიერება, ისევე როგორც უშვილობის მკურნალობა, კონტრაცეფციის ხარჯები და ორსულობის შეწყვეტა;</p> <p>6. სათვალეების, კონტაქტური ლინზების, კბილის პროთეზების, სმენის დამხმარე აპარატის შერჩევის ან მორგების ხარჯები; ორგანოთა ყოველგვარი ტრანსპლანტაცია, ფიზიკური ნაკლების და ანომალიების კოსმეტიკური ქირურგია, პროთეზირება, მაკორექტირებელი მოწყობილობები, და სამედიცინო სამარჯვები. გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ქირურგიული ოპერაციის (აორტოკორონარული შუნტირება და სხვა) და ნეიროქირურგიული ოპერაციის ხარჯები და შემდგომი მკურნალობა.</p> <p>7. ფიზიოთერაპიის ხარჯები, რაიმე სახის ხანგრძლივი მკურნალობა და რეაბილიტაცია შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: მოხუცებულთა სახლი, სარეაბილიტაციო ცენტრი, ბალნეოლოგიური კურორტი, სანატორიუმი, არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა, ან სამედიცინო მომსახურება;</p> <p>8. ვენერიული დაავადებებით და მათი მკურნალობით გამოწვეული ხარჯები; შიდს-ის და აიდ ვირუსით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯები; პარენტერალური მექანიზმით გადამდები ვირუსული ჰეპატიტების და მათი შედეგების მკურნალობა;</p> <p>9. ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების, სამედიცინო პრეპარატების ან სხვა ტოქსიური ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული შემთხვევები;</p> <p>10. დაზღვეული პირის ნებისმიერი კრიმინალური მოქმედების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის</p>	<p>5. Child delivery, pregnancy and its consequences and complications. Treatment of pregnancy related illnesses, including the development of chronic diseases due to the pregnancy; in vitro fertilization, treatment of infertility, contraception expenses and termination of pregnancy; repeated examinations during pregnancy.</p> <p>6. Expenses for selection or fitting of eyeglasses, contact lenses, teeth transplant, hearing equipment; any transplantation of organs, cosmetic surgery, placing prosthesis, correcting equipment and medical equipment. Expenses of heart surgery and neuro surgery and further treatment;</p> <p>7. Physiotherapy expenses, any type of long-term treatment and rehabilitation in the medical institutions: elderly house, rehabilitation center, balneological resort, sanatorium, non-traditional treatment or medical services.</p> <p>8. Sexually transmitted diseases and their treatment; HIV and AIDs virus related diseases; virus hepatitis transmitted via parenteral mechanism and their consequences;</p> <p>9. Situations resulting from use of alcohol or drugs or medication or other toxic substances;</p> <p>10. Criminal action of insured person, damage or treatment expenses due to an accident which took place during such action of the insured; any damage or expenses resulted from the damage by nuclear energy source (nuclear reactions, radiation and contamination); epidemics, environmental pollution or natural disaster related damages or costs; damage suffered during entering, leaving or travelling with the airplane.</p> <p>11. Any self-damage, damage caused by the insured putting himself/herself in unjustified danger, damage resulting from suicide or its attempt;</p> <p>12. Treatment and medical services provided by family member or non-licensed institution;</p> <p>13. Accidents/Cases during professional extreme and/or unprofessional sport activities, such as car, motorcycle or other types of races; air sport, alpinism, fighting sports, speleology, diving etc.</p> <p>14. Expenses covered under other insurance policies.</p>
---	--

შედეგად დაზიანების ან ავადმყოფობის მკურნალობის ხარჯები; ბირთვული ენერჯის წყაროს (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება) ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; ეპიდემიით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; თვითმფრინავზე ასვლის, თვითმფრინავიდან ჩამოსვლის ან მასში ყოფნისას მიღებული დაზიანება;

11. ნებისმიერი დაზიანება, გამოწვეული გამიზნული თვითდაშვებით ან გაუმართლებელ ხიფათში თავის ჩაგდებათ, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობით;

12. ოჯახის წევრის, ექიმბაშის ან არალიცენზირებული დაწესებულების მიერ გაწეული მკურნალობა და სამედიცინო მომსახურება;

13. პროფესიონალური ექსტრემალური ან/და სამოყვარულო სპორტის სახეობებში მონაწილეობისას მომხდარი შემთხვევები, მაგალითად ავტომობილების, მოტოციკლეტების და ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებების შეჯიბრი; სპორტის საჰაერო სახეობები, ალპინიზმი, სპორტის საბრძოლო სახეობები, სპელეოლოგია, აკვალანგით ყვინთვა და ა.შ

14. ხარჯები, რომლებიც დაიფარება სხვა სადაზღვევო პოლისებით.

განსაკუთრებული პირობები

სავალდებულო პირობაა, რომ პოლისის გაცემისას დაზღვეული პირი იმყოფებოდეს საქართველოში. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი იხსნის პოლისით ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

სადაზღვევო პოლისის მოქმედების დასრულება/შეწყვეტა

სადაზღვევო პოლისის მოქმედება შეწყდება:
 ა) პოლისის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

Special Conditions

When issuing a policy, it is indispensable for the insured to be to be in Georgia and in case of non-compliance with this condition the insurer shall be released from any liability under the Policy.

Termination of Insurance Policy

The insurance policy shall be terminated in the following cases:
 a) Upon expiration of the term thereof;

- ბ) სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში;
- გ) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- დ) შესაძლებელია პოლისის მოქმედება შეწყდეს დამზღვევის ინიციატივით, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ დაზღვეული არ გამგზავრებულა პოლისში მითითებულ ქვეყანაში და არ არის დასრულებული პოლისის მოქმედების ვადა. ამ შემთხვევაში მზღვეველი უბრუნებს დაზღვეულს სადაზღვევო პრემიას მის მიერ გაწეული ხარჯების (იგულისხმება 2 (ორი) ლარი) და გამომუშვებული პრემიის გამოკლებით;
- ე) გამოუყენებელი ვიზის შემთხვევაში, მზღვეველი ასევე დაუბრუნებს დაზღვეულს სადაზღვევო პრემიას მის მიერ გაწეული ხარჯებისა (იგულისხმება 2 (ორი) ლარი) და გაუქმების დღისთვის გამომუშვებული პრემიის გამოკლებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოლისის შეწყვეტის მომენტისათვის დაზღვეული წარმოადგენს გამოუყენებელი ვიზის ასლს ან ორიგინალს. პრემიის დაბრუნება არ მოხდება თუ დამზღვევი შეატყობინებს მზღვეველს პოლისის ვადის გასვლის შემდეგ, რომ იგი არ გამგზავრებულა პოლისში მითითებულ ქვეყანაში.

დაზღვეულის ქმედება ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დროს:

- ა) დაზღვეულმა ან მასთან მყოფმა ნებისმიერმა პირმა, უნდა დარეკოს 24 საათის განმავლობაში Europ Assistance-ს ცხელი ხაზის ნომერზე **+7 495 787 21 78**. ან უნისონის ცხელ ხაზს საქართველოში ნომერზე **+995 32 2 991 991**, და აცნობოს ცენტრს პოლისის ნომერი, მისამართი ტელეფონის ნომერი და არსებული პრობლემები.
- ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა აჩვენოს ექიმს ან სამედიცინო პერსონალს წინამდებარე პოლისი.

- b) If the insured limit is expired;
- c) On the basis of a written agreement between the parties;
- d) The insured may terminate the insurance policy on its initiative by sending a written notice if the insured has not traveled to the country considered in the policy and the term of the policy is not completed. In this case, the insurer returns the insurance premium to the insured excluding expenses incurred by insurer (2 GEL) and the published premium;
- e) In case of unused (defined) visa, the insurer shall return the insurance premium excluding expenses incurred by insurer (2 GEL) and the published premium, only if not more than one week of the insurance period is passed since the termination of the policy and if the insured provides a copy or original of the unused visa. The insurance premium shall not be returned if the insured notifies the insurance company that he/she has not been to the country considered in the policy upon the expiration of the insurance.

What the Insured should Do in case of Illness and/or Insurance Case:

- a) The insured or any person with him/her should call within 24 hours, on the following hot line number: Europ-Assistance **+7 495 787 21 78** or Insurance Company Unison **+995 32 2991 991**, and provide the Centre with the policy number, address, telephone number and current problems.
- b) In any event, when the insured applies the medical institution, he/she should submit this policy to a therapist or medical staff and if he/she must undergo in-patient treatment, the representative of medical institution shall contact hot line.
The insured will pay medical treatment fees within the limit of franchise (70 EURO/USD), after that all costs of medical treatment will be covered by the insurer if the diagnosis is under the area of policy coverage, according to the limits set in the policy, and if the

დაზღვეული გადაიხდის პოლისში მითითებულ ფრანშიზის ოდენობას (70 Euro/USD), რის შემდეგაც სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვა პოლისში მითითებული ლიმიტების შესაბამისად მოხდება სადაზღვევო კომპანიის მიერ კლინიკასთან ანგარიშსწორებით, თუ დაზღვეული იმყოფება Europ Assistance-ის პროვაიდერ, ასისტანსის მიერ წინასწარ მითითებულ კლინიკაში.

თუ დაზღვეული არ იმყოფება პროვაიდერ კლინიკაში, ხარჯების ანაზღაურება მოხდება საქართველოში დაბრუნების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ფრანშიზის გამოკლებით.

სტაციონარული მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს ასისტანსის ცხელ ხაზს.

გ) „ავია დაზღვევით“ დაზღვეული რისკების შემთხვევაში, გთხოვთ მიყვეთ ბმულს და გაეცნოთ ვრცელ ხელშეკრულებაში ანაზღაურების პროცედურას და ასანაზღაურებლად საჭირო საბუთების ჩამონათვალს.

https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

წინამდებარე პირობები შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ინგლისურ და ქართულ ენებზე, ქართულსა და ინგლისურ თარგმანში კოლიზიისას, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

insured is taking medical care at a provider clinic of Europ-Assistance.

If the insurer is getting medical care at non-provider clinic, he/she shall pay all the costs and reimbursement will be done according to the policy conditions upon arrival in Georgia, after presenting all the necessary documents.

c) In case of “Avia Insurance” covers, please, check the link for detailed instructions about reimbursement procedures. https://unison.ge/files/docs/AVIA_INSURANCE.pdf

The present terms are made in English and Georgian languages, having identical legal force. In case of any inaccuracies in the translation between the Georgian and English versions, the Georgian version shall prevail.